

შპს „თელავი დისტრილერი“


ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31
დეკემბრისთვის

შპს "თელავი დისტილერი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ამონაგები	4	746,413	624,912
ამონაგების თვითღირებულება	5	(678,994)	(577,257)
მთლიანი მოგება		67,419	47,655
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(6,525)	(6,316)
ინვესტიციის გაუფასურების აღდგენა		-	245,918
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(284,566)	(298,382)
ფინანსური ხარჯი	12	(164,918)	(165,820)
საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(96,119)	(2,788)
სხვა ხარჯები, წმინდა		(6,665)	(37,859)
ხარჯი გადასახადამდე		(491,474)	(217,592)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური ზარალი		(491,474)	(217,592)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(491,474)	(217,592)

ხელმძღვანელობის სახელით


მარიამ ჯანტურია
დირექტორი

თბილისი, საქართველო
18 სექტემბერი 2025

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

აქტივები:

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიცია

არამატერიალური აქტივები

გაცემული სესხები

სულ გრძელვადიანი აქტივები

მიმდინარე აქტივები

მარაგები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

გადახდილი ავანსები

ფული და ფულის ექვივალენტები

სულ მიმდინარე აქტივები

სულ აქტივები

ვალდებულებები და კაპიტალი

კაპიტალი:

საწესდებო კაპიტალი

დაგროვილი ზარალი

სულ კაპიტალი

გრძელვადიანი ვალდებულებები:

ნასესხები სახსრები

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტული დავალიანება

მიღებული ავანსები


გადასახდელი გადასახადები, წმინდა

სულ მიმდინარე ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

სულ ვალდებულებები და კაპიტალი:

ხელმძღვანელობის სახელით



მარიამ კანტურია

გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო

18 სექტემბერი 2025

შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
7	1,201,900	1,308,734
8	721,317	721,317
	4,579	5,387
9	45,554	43,649
	1,973,350	2,079,087
10	804,038	956,410
11	802,784	684,763
	21,996	21,914
	387	991
	1,629,205	1,664,078
	3,602,555	3,743,165
	7,095,309	7,094,332
	(7,353,470)	(6,861,019)
	(258,161)	233,313
12	2,628,299	2,418,606
	2,628,299	2,418,606
13	1,057,722	927,398
	8,904	6,191
	165,791	157,657
	1,232,417	1,091,246
	3,860,716	3,509,852
	3,602,555	3,743,165

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობის სახელით


თბილისი, საქართველო
18 სექტემბერი 2025

შპს „თელავი დისტილერი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) ფულადი სახსრები	55,738	(8,544)
საფინანსო საქმიანობაში (გამოყენებული) /მიღებული ფულადი სახსრები	(55,677)	2,350
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება / (კლება)	61	(6,194)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	991	7,962
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(665)	(777)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	387	991

ხელმძღვანელობის სახელით



მარიამ ჭანტურია
დირექტორი

თბილისი, საქართველო
18 სექტემბერი 2025

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თელავი დისტილერი“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2014 წლის 1-ლ ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, შინდისელი გმირის ქუჩა 6ა.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს კონიაკის, ალკოჰოლის გაყიდვები და დისტრიბუცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ასევე, კომპანიას აქვს ჩამოსხმის სერვისი.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერის სახელი

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

შპს „ლენდეგა“

100%

100%

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობის საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების მიხედვით.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ფუფუნება აქტივების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიას შეეძლება აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ნორმალური საქმიანობის პირობებში.

უცხოური ვალუტები. ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ზარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შემოსავლის აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როცა: შემოსავლის ოდენობა სანდოდაა განსაზღვრული, სავარაუდოა, რომ სამომავლოდ ეკონომიკური მომგებიანობა აისახება ორგანიზაციაზე და კომპანიის აქტივობებთან დაკავშირებით შესრულდება შესაბამისი კრიტერიუმი, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

ა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები კომპანია აწარმოებს და ყიდის მთელ რიგ ღვინის პროდუქტებს საბითუმო ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ, ამ დროს ყველა შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას იმ ხარისხით, რომელიც როგორც წესი, ასოცირდება საკუთრებასთან და არც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობა ზუსტადაა აღრიცხული;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლიანობა კომპანიაზე აისახება;
- დაკისრებული ან დასაკისრებელი ღირებულებები სწორად იქნება განსაზღვრული.

ბ. ჩამოსხმის სერვისიდან მიღებული ამონაგები

შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლების სამართლიან ღირებულებას ჩვეულებრივ საქმიანობაში გაწეული მომსახურებისთვის. შემოსავალი არ არის აღიარებული მანამ, სანამ მომხმარებელს მომსახურება არ მიეწოდება.

გ. საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით შესაბამისი საიჯარო პირობების გათვალისწინებით და აღიარებულია როგორც ამონაგები.

იჯარა - იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობების მიხედვით არსებითად არსებული ყველა რისკი და სარგებელი გადადის მოიჯარეზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარის გადახდები წრფივი მეთოდით აღიარდება როგორც ხარჯი იჯარის პირობების შესაბამისად. პირობითი იჯარები, რომლებიც წარმოიშევა აღიარდება ხარჯად შესაბამის პერიოდში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს

ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა და ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტისა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასდათმობების გამოკლებით,

ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ ეკუთვნის აქტივის ადგილზე მიტანასა და საოპერაციო მდგომარეობაში მოყვანას, როგორც ეს ხელმძღვანელობას აქვს განზრახული;

გ) აქტივის დემონტაჟის, მოხსნისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯების შეფასებას, სადაც განთავსებული იყო;

დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კომპანია იღებს აქტივის შეძენისას ან იმის გამო, რომ რომ იგი გამოიყენა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ პერიოდის მარაგების წარმოებისა;

ე) საკვალიფიკაციო აქტივებისთვის, სესხის აღების ხარჯები კაპიტალიზებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

ძირითადი საშუალებების კომპანიას ამორტიზაციის განაკვეთები შემდეგია

	2024	2023
შენობა-ნაგებობები	5%	5%
ავეჯი და მოწყობილობები	20%	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%	20%
მანქანა-დანადგარები	5-10%	5-10%
სხვა	20%	20%

ამორტიზირებადი თანხა არის ქონებისა და აღჭურვილობის ერთეულის ღირებულება მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა ქონებისა და აღჭურვილობის განკარგვის შედეგად, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აქტივი უკვე ძველი იყო და იმ მდგომარეობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი გამოყენების ბოლოს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებებიდან ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

მეკავშირე საწარმოში ფლობილი ინვესტიცია- ასოცირებული კომპანიები არიან სუბიექტები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებს, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე წილს.

ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. ასოცირებული კომპანიებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები.

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

მარაგები. მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოძენის მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები – ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენის ან გამოცემისთვის (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალისა), ემატება ან გამოიქვითება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებიდან, როგორც საჭიროა, თავდაპირველი აღიარების შესახებ. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეძენის ან ზარალის შეძენის შედეგად, მაშინვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საწარმო ზომავს გრძელვადიან ფინანსურ სავალ ინსტრუმენტებს ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სესხის ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, იზომება ფულადი სახსრების არადისკონტირებული ოდენობით ან სხვა ანაზღაურებით, რომელსაც გადახდა ან მიღება მოსალოდნელია.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ვალის ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოანგარიშებისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამისი პერიოდის გამოყოფის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სამომავლო ფულადი შემოსავლებს (მათ შორის ყველა საფასური და გადახდილი ან მიღებული თანხა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და სხვა პრემიების ან დისკონტების განუყოფელ ნაწილს) ვალის ინსტრუმენტის სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში. ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, პირველადი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები ფული მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. სესხები და დებიტორული დავალიანებები სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. სესხები და დებიტორული დავალიანებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გაუფასურების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდგომ ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად, ინვესტიციის სავარაუდო ფულად ნაკადებზე მოხდა ზეგავლენა.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით ანაზღაურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანება ითვლება უიმედოდ, ის ჩამოიწერება ანაზღაურების ანგარიშიდან. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება ანაზღაურების ანგარიშზე. ანაზღაურების ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებები აღიარებულია მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანიი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას.. სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულ და მიღებულ ან მისაღები ანაზღაურებას შორის აღიარებულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები – კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახადებს და სესხებს. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსურ ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შეწყდება ან ვადა გაუვა. სხვაობა აღიარებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის ასახულია მოგება-ზარალისანგარიშგებაში.

შეტანილი კაპიტალი. შეტანილი კაპიტალი კომპანიის მიერ აღიარებულია კომპანიას მიერ მიღებული რეალური შენატანის ღირებულების მიხედვით.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების გაურკვევლობის წყაროები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #2, დირექტორებს ევალებათ შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების გაუფასურება– კომპანიამ აღიარა 100%-იანი უიმედო მოთხოვნების ანარიცხები ყველა მისაღები მოთხოვნის მიმართ, რომელიც წარმოიშვა 1 წლის წინ, რადგან ისტორიული გამოცდილების თანახმად, მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული იყო 1 წლის განმავლობაში, არ ანაზღაურდება. უიმედო მოთხოვნების ანარიცხი 50%-ის ოდენობით აღიარებულია 181 დღიდან 1 წლამდე წარმოშობილი დებიტორული დავალიანების მიმართ, ხოლო 20%-იანი ანარიცხი შექმნილია 91 დღიდან 180 დღემდე წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებზე.

გარდა ამისა, სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტების დებიტორული ანგარიშების შეგროვების ალბათობის შესახებ. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, კლიენტის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა და გადახდების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება ითვლება დებიტორული დავალიანების პოტენციურად გაუფასურების ინდიკატორად. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან, თუ ადგილი აქვს ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას ან რეალური ნაკლოვანებები უფრო მაღალია ვიდრე შეფასებები.

დაკავშირებული მხარეებთან ფინანსური ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. შეფასებები გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი უფრო დაბალი საბაზრო ან არასაბაზრო პროცენტით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი ოპერაციებისათვის. შეფასების საფუძველია მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასი არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

4. ამონაგები

კომპანიის ამონაგები ძირითადად შედგება ჩამოსხმის მომსახურებისგან და სპირტიანი სასმელების რეალიზაციისგან.

5. ამონაგების თვითღირებულება

ამონაგების თვითღირებულება შეიცავს მასალის, ხელფასის, ცვეთის და სხვა ზედნადებ ხარჯებს.

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება ხელფასებისგან, საკონსულტაციო, ცვეთის, სამეურნეო, საიჯარო, საგადასახადო და სხვა საოპერაციო ხარჯებისგან.

7. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები შედგება მიწის, შენობა-ნაგებობის, მანქანა-დანადგარების და საოფისე აღჭურვილობისგან.

8. მეკავშირე საწარმოში ფლობილი ინვესტიცია

კომპანია ფლობს შპს „სმარტ ტრეიდიנגის“ აქციების 20%. შპს „სმარტ ტრეიდინგის“ მიზანია კახეთის რეგიონში მარნებით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

9. გაცემული სესხები

კომპანიის სესხები გადასახადელია დაფარვის ვადის დადგომისას.

10. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება ნედლეულის, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციისა და სხვა მარაგებისგან.

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ანგარიში ძირითადად შედგება კლიენტებისგან მისაღები თანხებისგან.

12. ნასესხები სახსრები

კომპანიას აქვს ნასესხები სახსრები დოლარსა და ლარში.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება შედგება მომწოდებლებისთვის გადასახდელი თანხებისგან, საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა გადასახდელებისგან.

შპს „თელავი დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

15. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია არსებითი პირობითი ვალდებულებები.

სამართლებრივი დავები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 3 წელი.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც.

საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. რუსეთმა უპასუხა დასავლეთის სანქციებს უკრაინაში შეჭრისთვის, 2022 წლის ბოლომდე პროდუქციის ექსპორტის აკრძალვით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ ყოფილა.